



**ივერი ფრანგიშვილი**  
**(1930 - 2006)**

მართვის სისტემების, ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის დარგის თვალსაჩინო მეცნიერი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი (1968 წ.), პროფესორი (1969 წ.), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1979 წ.), რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ვ. ა. ტრაპეზნიკოვის სახელობის მართვის პრობლემების ინსტიტუტის დირექტორი (1985წ.), საბჭოთა კავშირის გენერალური კონსტრუქტორი ატომური ელექტროსადგურების ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიზებული მართვის სისტემების დარგში (1987 წ.), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი (1985 წ.), საქართველოს საინჟინრო აკადემიის პრეზიდენტი (1992 წ.), საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი (1992 წ.), რსფსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1981 წ.), მთელი რიგი საერთაშორისო და უცხოური აკადემიების ნამდვილი წევრი.

ივერი ფრანგიშვილი დაიბადა საქართველოში, დიდ ჯიხაიშში. 1952 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტი. 1955 წლიდან მოღვაწეობდა მოსკოვში სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ავტომატიკისა და ტელემექანიკის (შემდეგ – მართვის პრობლემების) ინსტიტუტში, 1970 წლიდან იყო ამავე ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში.

ივერი ფრანგიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს სისტემური მიდგომის და ზოგადსისტემური კანონზომიერებების თეორიისა და პრინციპების დამუშავება სხვადასხვა ბუნების რთული სისტემების ფუნქციონირებისათვის; მოძრავი ობიექტების ამოცნობისა და აღმოჩენისათვის ახალი (ფონური) პრინციპების დამუშავება; დიდმასშტაბიანი სისტემების და მაღალი რისკის ობიექტების მართვის თეორიის დამუშავება; ახალი კლასის პარალელური და გარდაქმნადი მრავალპროცესორიანი მმართველი გამოთვლითი სისტემების თეორიული საფუძვლებისა და პრინციპების დამუშავება.

ივერი ფრანგიშვილის კვლევათა შედეგები წარმატებით გამოიყენება სხვადასხვა დარგებში რთული სისტემების მართვისათვის. იგი ავტორია 400-ზე მეტი სამეცნიერო პუბლიკაციის, მათ შორის 20 მონოგრაფიის, ერთი სამეცნიერო აღმოჩენის და 40 გამოგონებისა; მისი უშუალო სამეცნიერო ხელმძღვანელობით დაცულია 30-ზე მეტი სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაცია.

## **IVERI PRANGISHVILI** **(1930 - 2006)**

Iveri Prangishvili was an outstanding authority in the field of control systems, informatics and computer science. He was Doctor of Engineering (since 1968), Professor (since 1969), Academician of the Georgian Academy of Sciences (since 1979), Director of V.A. Trapeznikov Institute of Control Sciences of the Russian Academy of Sciences (since 1985), Designer General of the USSR in the field of automated systems of controlling the technological processes of nuclear power stations (since 1987), Vice-President of the Georgian Academy of Sciences (since 1985), President of the Georgian Engineering Academy (since 1992), Vice-President of the International Engineering Academy (since 1992), Honored Scientist of the RSFSR (1981), an academician of a number of International, Russian and other academies.

Iveri Prangishvili was born in the village of Didi Jikhaishi, Georgia. In 1952 he graduated from the Georgian Polytechnic Institute. Since 1955 his activity was associated with the Institute of Automatics and Telemechanics of the Academy of Sciences of the USSR (now – the Institute of Control Sciences, the Russian Academy of Sciences); since 1970 he was the deputy director of the Institute in the field of science.

The main direction in I. Prangishvili's scientific activity was the development of the theory and concepts of system approach and general system laws which functioning of complex systems of various origin are governed by; the development of new (background) principles of detection and identification of mobile objects of various origin; the elaboration of theoretical basics and principles of construction of distributed control systems for large-scale plants and establishments and the development of microprocessor control systems with parallel and adjustable structures.

The results of I. Prangishvili's investigations were successfully introduced in various industries for the development of complex automated facilities for controlling large systems. Iveri Prangishvili was the author of more than 400 works, including 20 monographs, a discovery and 40 inventions. More than 30 theses were defended under his guidance.

## **ИВЕРИ ПРАНГИШВИЛИ** **(1930 - 2006)**

Выдающийся специалист в области систем управления, информатики и вычислительной техники, доктор технических наук (с 1968 года), профессор (с 1969 года), академик АН Грузии (с 1979 года), директор Института проблем управления им. В.А. Трапезникова Российской академии наук (с 1985 года), Генеральный конструктор СССР по автоматизированным системам управления технологическими процессами атомных электростанции (с 1987 года), вице-президент АН Грузии (с 1985 года), президент Инженерной Академии Грузии (с 1992 года), вице-президент Международной Инженерной Академии (с 1992 года), заслуженный деятель науки и техники РСФСР (1981 г.), академик ряда российских, международных и зарубежных академий.

И.В. Прангишвили родился в Грузии (с. Диди Джихаиши). В 1952 году закончил факультет энергетики Грузинского политехнического института. С 1955 года его деятельность связана с Институтом Автоматики и Телемеханики АН СССР (ныне Институт Проблем Управления - ИПУ), с 1970 года -- заместитель директора ИПУ по научной работе.

Основным направлением научной деятельности И.В. Прангишвили является разработка теории и принципов системного подхода и общесистемных закономерностей, которым подчиняется функционирование сложных систем различной природы; разработка новых (фоновых) принципов обнаружения и распознавания подвижных объектов различной природы; разработка теоретических основ и принципов построения распределенных систем управления крупномасштабными объектами и создание многопроцессорных управляющих вычислительных систем с параллельной и перестраиваемой структурой.

Результаты исследований И.В. Прангишвили успешно внедрены в различные отрасли при создании сложных автоматизированных объектов управления крупными системами. Он является автором более 400 печатных научных работ, в том числе 20 монографий, одного научного открытия, 40 изобретений. Под его непосредственным руководством защищено более 30 докторских и кандидатских диссертаций.